მუსიკის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: მუსიკის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის ხელმძღვანელი: ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი ლეილა მარუაშვილი.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: არ ითვალისწინებს კვალიფიკაციის მინიჭებას. შესაბამისი კრედიტების დაგროვების შემთხვევაში გაიცემა შესაბამისი სერთიფიკატი და სერთიფიკატის დანართი. სერტიფიკატი გაიცემა კანონმდებლობით დადგენილი წესით და მიმართულების/საგნის/საგნობრივი ჯგუფისა და ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის ველში მიეთითება - მუსიკის დაწყებითი-საბაზო-საშუალო საფეხურის „მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა.“

პროგრამის მოცულობა: 60 კრედიტი

პროგრამის სტრუქტურა:
პროგრამა ითვალისწინებს ცოდნის და კომპეტენციების შეძენა-განვითარებას რამდენიმე მიმართულებით, შესაბამისად იგი შედგება 3 ბლოკისგან;

1. **პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის მოდული - 30 კრედიტი**

2. **დარგობრივი სპეციალიზაციის მოდული - 20 კრედიტი**

3. **პედაგოგიური პრაქტიკის მოდული -10 კრედიტი**

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია სკოლისგარეშე სამუსიკო საგანმანათლებლო დაწესებულების (სამუსიკო სკოლის) და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუსიკის საგნის მასწავლებლების მომზადება. პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტის მიერ პედაგოგიური საქმიანობისათვის აუცილებელი ცოდნისა და უნარ-ჩვევების, პროფესიული კომპეტენციების გამომუშავებას.

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს ექნება თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები სამუსიკო და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში მასწავლებლის საქმიანობის განსახორციელებლად.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა:

1. არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის ან შესაბამისი სახელოვნებო/სასპორტო/ სამხედრო პროფესიული განათლება;
2. საგნის გამოცდის წარმატებით ჩაბარება, ხოლო მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში განაწილებული პრაქტიკოსი მასწავლებლის შემთხვევაში – საგნობრივი კომპეტენციის დადასტურება;
3. შიდა შესარჩევი გამოცდა.

შიდა შესარჩევი გამოცდა გულისხმობს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში მუსიკის საგნის სწავლებისას გამოყენებული მეთოდების (რიტმის გრძნობის განვითარება, სიმღერის შესწავლა, იმპროვიზაციის ან კომპოზიციის უნარის განვითარებაზე მუშაობა და ა.შ.) თეორიული და პრაქტიკული ცოდნის შემოწმებას, მითითებულ პრობლემატიკაზე მოდელირებული გაკვეთილის ჩატარების გზით.

სწავლის შედეგებია:

ცოდნა და გაცნობიერება:

პედაგოგიკის სფეროში: აქვს პედაგოგიური დისციპლინების ცოდნა, მათ შორის სამუსიკო პედაგოგიკის სფეროში. პედაგოგიური პროცესის ორგანიზაციის ცოდნა, იცნობს ეროვნული განათლების სისტემის სტრუქტურას, სამუსიკო განათლების არსებულ სისტემებს. იცნობს თანამედროვე პედაგოგიურ ტექნოლოგიებს, იცნობს სწავლის, სწავლებისა და შეფასების სტრატეგიებს და მეთოდებს. აქვს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების ცოდნა. იცის ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპები. აქვს სასწავლო პროცესის დაგეგმვის, სწავლების სტრატეგიის შემუშავების უნარი როგორც ჯგუფური, ისე ინდივიდუალური მუშაობის დროს;

ფსიქოლოგიის სფეროში: იცნობს ფსიქოლოგიის საფუძვლებს, ადამიანის ფსიქოლოგიური განვითარების კანონზომიერებებს და ასაკობრივ თავისებურებებს. აქვს ღრმა ცოდნა სამუსიკო ფსიქოლოგიის სფეროში.

დარგობრივი სფერო: აქვს სამუსიკო დიდაქტიკისა და ინტერპრეტაციის ისტორიის ღრმა ცოდნა. იცნობს სამუსიკო განათლების თეორიულ საფუძვლებს, მუსიკის სწავლების (პროფილის შესაბამისად) ტრადიციულ და უახლეს მეთოდებს, მუსიკის ინტეგრირებული სწავლების მეთოდებსა და ფორმებს; იცნობს სამუსიკო-საგანმანათლებლო სტანდარტებს და სასწავლო გეგმას; იცის ზოგადი განათლების სისტემის სამართლებრივი საფუძვლები; იცნობს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ეროვნულ სასწავლო გეგმას, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუსიკის მასწავლებლის სტანდარტს და მუსიკის საგნობრივ პროგრამას; იცის როგორ შექმნას ჯანსაღი, უსაფრთხო და წამახალისებელი გარემო; აქვს კონკრეტული პროფილის საშემსრულებლო ხელოვნების პრინციპებისა და პედაგოგიური სამუსიკო რეპერტუარის ცოდნა სწავლების საფეხურების შესაბამისად.

<u>უნარი:</u>

აქვს საშემსრულებლო დარგის, მუსიკალურ-თეორიული, ისტორიული დისციპლინებისა, მუსიკალური ფოლკლორისა და მუსიკის საგნის სწავლების პრაქტიკული უნარი; კურსდამთავრებულს აქვს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის უნარი, აქვს მუსიკის გაკვეთილების ორგანიზებისა და ჩატარების უნარი; შეუძლია სპეციალურ მასწავლებელთან თანამშრომლობით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის შესაბამისი გარემოს შექმნა. აქვს პედაგოგიურ პრაქტიკაში სწავლების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენების უნარი; შეუძლია მოსწავლეთა მუსიკალური მონაცემების გამოვლენა და მათთვის პედაგოგიური მხარდაჭერის აღმოჩენა, გააჩნია მოსწავლეთა შემოქმედებითი ზრდისათვის სწორი სტრატეგიის შემუშავების უნარი, შესაბამისი საშემსრულებლო რეპერტუარის შერჩევისა და მასზე მუშაობის სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით და ფსიქოლოგიურ-ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით; აქვს ჯგუფური და ინდივიდუალური მეცადინეობის წარმართვის უნარი, მუსიკალური ღონისძიებების (კონცერტების, ვიქტორინების, მუსიკალური სპექტაკლების) ორგანიზების უნარი; გააჩნია მუსიკალურ-საშემსრულებლო მოღვაწეობის პრაქტიკული უნარი: შეუძლია პედაგოგიური სამუსიკო რეპერტუარით განსაზღვრული ნაწარმოების შესრულება, სადირიჟორო უნარ-ჩვევების პრაქტიკული გამოყენება, მოსწავლეებისათვის ინსტრუმენტზე აკომპანირება; მოსწავლეებთან ურთიერთობისას ითვალისწინებს მათ ფსიქოლოგიურ-ასაკობრივ თავისებურებებს.

<u>ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა:</u>

აქვს კრიტიკული აზროვნების უნარი; დამოუკიდებლად შეუძლია ახალი მონაცემების შეგროვება, ანალიზი და ინტერპრეტაცია სამუსიკო პედაგოგიკის დარგის საბაზისო მეთოდების გამოყენებით; შეუძლია საკუთარი და სხვისი პედაგოგიური საქმიანობის შეფასება;

დამოუკიდებლად შეუძლია ახალი და განყენებული მონაცემების ანალიზი სამუსიკო პედაგოგიკის დარგის სტანდარტული მეთოდების გამოყენებით; აქვს პროფესიული სიტუაციების ანალიზის და შესაბამისი დასკვნის გაკეთების უნარი; აქვს მეთოდური და პრაქტიკული პრობლემების ანალიზის და მათი გადაწყვეტის უნარი. აქვს კოლეგებთან და მოსწავლეთა

სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებთან პროდუქტიული მუშაობის უნარი; მზად არის ღია კონტაქტებისათვის მოსწავლეების მშობლებთან; პატივისცემით ეპყრობა განსხვავებულ აზრს;

შეუძლია პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული (მუსიკალურ-დიდაქტიკური მასალები, რეპერტუარი, ლიტერატურა) ინფორმაციის მოძიება სხვადასხვა წყაროებიდან, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით; აქვს სპეციფიური სამუსიკო შემოქმედებითი მონაცემები, რომელიც პედაგოგიურ სფეროში ახალი ცოდნის მიღების საშუალებას აძლევს; აქვს თვითგანათლების, კვალიფიკაციის ამაღლების უნარი; შეუძლია პროფესიული წინსვლის მიზნით სწავლის სამომავლო მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა და დაგეგმვა; აქვს საკუთარი სწავლის სხვადასხვა მიმართულებებით ორგანიზაციის უნარი; აქვს შემოქმედებითი და მხატვრული ღირებულებანი და ზრუნავს მათ განვითარებაზე; აქვს პროფესიული ფასეულობების გაზიარებისა და პრაქტიკაში რეალიზაციის უნარი; იცნობს მასწავლებლის ეთიკის კოდექსს და მოქმედებს მის შესაბამისად; ხელს უწყობს მოსწავლეებში ზოგადსაკაცობრიო და ეროვნული ღირებულებების დამკვიდრებას და განვითარებას; გაცნობიერებული აქვს თავისი საქმიანობის მნიშვნელობა; ნებისმიერ სიტუაციაში იცავს მოსწავლეებთან, კოლეგებთან და მშობლებთან ურთიერთობის ეთიკურ ნორმებს; აფასებს საკუთარ და კოლეგების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისადმი.

აღნიშნული სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და ითვალისწინებს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს. სწავლის შედეგები შემუშავებულია მასწავლებლის განათლების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლების ტერმინებში.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების აუცილებელი პირობაა შემოქმედებითი/პრაქტიკული და პედაგოგიური/თეორიული სწავლების მეთოდების ორგანული

ინტეგრაცია, სტუდენტის ინდივიდუალური შემოქმედებითი პოტენციალისა და უნარ-ჩვევების განვითარება ზოგადი და სამუსიკო პედაგოგიკის, ფსიქოლოგიის და შესაბამისი სპეციალობის სპეციფიკის გათვალისწინებით.
სწავლების პროცესში გამოიყენება შემდეგი ფორმები და მეთოდები:

- ლექციები და პრაქტიკული მეცადინეობები;
- პედაგოგიური სემინარები (ღია გაკვეთილები, მასტერ-კლასები, ვორკშოპები);
- დემონსტრირების მეთოდი: გულისხმობს ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას, შესასწავლი ნაწარმოების ჩვენებას ინსტრუმენტით, ხმით, აუდიო და ვიზუალური გზით). დემონსტრირების მეთოდი თვალსაჩინოს ხდის სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხურს და ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.
- ახსნა-განმარტებითი მეთოდი: იგულისხმება ლექციისა და სემინარის ზეპირი გადაცემა ან PP პრეზენტაცია. პედაგოგს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვა ხდება მოცემული თემის ფარგლებში.
- სტუდიური - რეპეტიციული მეცადინეობები, მათ შორის შემოქმედებითი პროექტების განსახორციელებლად;
- სწავლება პროფესიულ გარემოში (აქტიური და პასიური სასკოლო პრაქტიკა);
- პრაქტიკულ/შემოქმედებითი დავალებების ანალიზი;
- წიგნზე/ნოტებზე, მულტიმედიურ საშუალებებზე მუშაობის მეთოდი: დამოუკიდებლად მიცემული საკითხავი/შესასრულებელი მასალის გაცნობა, დამუშავება და ანალიზი/შესწავლა;
- სხვადასხვა სახის დიდაქტიკური სისტემების ანალიზი;
- წერითი მუშაობის მეთოდი: სხვადასხვა წერითი დავალებების შესრულება, მასალის დაკონსპექტება, რეფერატის ან ესეს შესრულება და სხვ.
- დისკუსია: ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. იგი უვითარებს სტუდენტს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.
- პროფესიულ საკითხებზე დისკუსიებისა და დებატების იმიტირება - წარმართვა;

- პრაქტიკული/შემოქმედებითი პროექტებში, კონცერტებში, სხვადასხვა წარმოდგენებში მონაწილეობა;
- სასკოლო გარემოში მუსიკის სწავლების უახლესი პრაქტიკული მეთოდები და ფორმები, გამოყენებული უცხოელი კოლეგების ვორკშოპებზე და ტრენინგებზე.
- პროფესიული პედაგოგიური უნარების ფორმირების და განვითარების მიზნით სტუდენტის დამოუკიდებელი, აუდიტორიისგარეშე მუშაობა.
- დისტანციური სწავლების მეთოდი: ლექციების, პრაქტიკუმების, სტუდენტების დამოუკიდებელი მუშაობის განხორციელება online რეჟიმში.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება საქართველოში მოქმედი კანონდებლობის შესაბამისად შემდეგი სქემით:

ქულები	ქულების ასოითი აღნიშვნა	შეფასების აღნიშვნა
91 _ 100	A	ფრიადი
81 –90	B	ძალიან კარგი
71 _ 80	C	კარგი
61 _ 70	D	დამაკმაყოფილებელი
51 _ 60	E	საკმარისი
41 –50	FX	ვერ ჩააბარა
0 _ 40	F	ჩაიჭრა

სტუდენტის შეფასება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის, თსკ-ის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად:
სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ყოველ სემესტრში და გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს შუასემესტრული/მიმდინარე და დასკვნითი გამოცდის შეფასებებს. სემესტრული შეფასება მიიღება შუასემესტრული/მიმდინარე და დასკვნითი გამოცდის შეფასებების დაჯამების გზით.

- სასწავლო კურსში (საგანში) კრედიტის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ქულათა ჯამური ოდენობა 51-დან 100-მდე;
- სილაბუსით განსაზღვრული შეფასების თითოეულ კომპონენტში დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი;
- დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც:
  სილაბუსით/მინიმალური სტანდარტით გათვალისწინებულ შემოწმების ფორმებში ჯამურად დაგროვილი აქვს ქულათა შესაძლო მაქსიმუმის ნახევარი. აკმაყოფილებს გამოცდაზე დაშვების დამატებით წინაპირობებს, რომლებიც მითითებულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
  შესრულებული აქვს დისციპლინული მოთხოვნები (დასწრების კომპონენტი). დასკვნით გამოცდაზე დადებით შეფასებად ჩაითვლება დადგენილი მაქსიმუმის ნახევარზე მეტი. უარყოფითი შეფასება დაჯამებას არ ექვემდებარება.

41-50 ქულის სემესტრული ჯამური შეფასების პირობებში სტუდენტი ვერ იღებს კრედიტს, მაგრამ ეძლევა უფლება გადააბაროს გამოცდა სასწავლო დისციპლინის გამეორების გარეშე მიმდინარე სემესტრში, დადგენილ ვადებში. თუ სტუდენტის მიერ სემესტრის მანძილზე დაგროვილი ქულათა ჯამი არ აღემატება 40 ქულას, სტუდენტი ვალდებულია გაიმეოროს კურსი და დავალიანება დაფაროს დადგენილი წესის მიხედვით.

კრედიტების განაწილება მოდულების მიხედვით

№	მოდულის დასახელება	კრედიტები
პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის მოდული - 30 კრედიტი		
1.	ზოგადი და სამუსიკო პედაგოგიკა - 30 სთ	5
2.	სამუსიკო განათლების სისტემები - 30 სთ	5
3	თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიები - 30 სთ	5
4.	მუსიკის საგნის სწავლების სტანდარტი - 15 სთ	5
5.	ფსიქოლოგიის საფუძვლები - 15 სთ	5
6.	სასკოლო ასაკის ბავშვთა ფსიქოლოგია - 30 სთ	5

დარგობრივი სპეციალიზაციის მოდული - 20 კრედიტი		
1	მუსიკის თეორიის სწავლების საფუძვლები - 15 სთ	3
2.	სამუსიკო დიდაქტიკა და მუსიკალურ-რიტმული აღზრდა - 30 სთ	5
3.	მუსიკის ლიტერატურის სწავლების მეთოდები -15 სთ	3
4.	სავალდებულო არჩევითი კურსი (ქართული ხალხური საკრავების საბაზისო კურსი; გიტარის საბაზისო კურსი; ფორტეპიანოს საბაზისო კურსი) - 15 სთ	3
5.	ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (LMMS, Audacity) - 15 სთ	3
6.	ქართული მუსიკალური ფოლკლორის სწავლების მეთოდები - 15 სთ	3
პედაგოგიური პრაქტიკის ბლოკი 10 კრედიტი		
1.	პრაქტიკა სამუსიკო სკოლაში (გუნდის დირიჟორობა) – 15 სთ	5
2.	პრაქტიკა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში - 30 სთ	5

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური და ადამიანური რესურსები:
პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:

- კომპიუტერებით, როიალებით და აუდიო სისტემით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები;
- სარეპეტიციო აუდიტორიები;
- საკონცერტო დარბაზები;
- სასწავლო სტუდიები;
- სასკოლო მუსიკალური ინსტრუმენტები.

ორგანიზაციის ბალანსზე არსებული მუსიკალური ინსტრუმენტები, ემსახურება კონსერვატორიის მიზნების რეალიზაციას და შეესაბამება საგანმანათლებლო და კვლევით პროგრამებს, რომლებსაც ახორციელებს კონსერვატორია.

შენობა-ნაგებობანი - მუსიკის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება კონსერვატორიის არსებულ შენობა-ნაგებობებში, სადაც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმები. შენობები სრულად პასუხობენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს, არის სათანადო ტექნიკითა და ინვენტარით აღჭურვილი პრაქტიკული მეცადინეობებისთვის განკუთვნილია უდიტორიები.

ბიბლიოთეკა - კონსერვატორიის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული რესურსით.

კონსერვატორიის ბიბლიოთეკაში დაცულია საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისთვის. ბიბლიოთეკას აქვს სათანადო ინვენტარით (სკამები, მაგიდები, კომპიუტერები) აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით.

აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე - აკადემიური პერსონალისათვის შექმნილია სათანადო ინვენტარითა და ტექნიკით (სკამები, მაგიდები, კარადები, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, ქსეროქსის მულტიფუნქციური აპარატი) აღჭურვილი სამუშაო გარემო.

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები - მუსიკის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისა და ადმინისტრირების ხელშეწყობის მიზნით, კონსერვატორია იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს.

პედაგოგიურ პრაქტიკას სტუდენტები გაივლიან კონსერვატორიის სამუსიკო სემინარიაში, საჯარო სკოლაში ნიუტონი, ე.მიქელაძის სახ. თბილისის სამუსიკო კოლეჯში და სემინარიასთან არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში, მხარეებს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალი: პროგრამის პერსონალის შერჩევა ხორციელდება თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორიის საგანმანათლებლო პროგრამების აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შესახებ აკადემიური საბჭოს დადგენილების შესაბამისად. პერსონალის რაოდენობა განისაზღვრება პროცენტული შეფარდებით 1/7, რაც ნიშნავს 1 მასწავლებელი, 7 სტუდენტზე.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი: პროგრამის განხორციელებაში ჩართულია კონკურსის წესით შერჩეული აკადემიური პერსონალი და მოწვეული მასწავლებლები/სპეციალისტები და დამხმარე პერსონალი.

პროგრამის გაუმჯობესების სტრატეგია

პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ინიცირებული, სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კურსების წამყვანი აკადემიური/მოწვეული პერსონალის, დამსაქმებლების და სტუდენტების გამოკითხვის შედეგად მიღებული შეფასების, ასევე შიდა და გარე შეფასების შედეგად მიღებული რჩევებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით, პროგრამა ექვემდებარება განახლებას, საჭიროების შემთხვევაში - მოდიფიცირებას.